ხელშეკრულება №129 „09 „ ოქტომბერი 2018 წ.

ქ. თბილისი

**სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია** , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **დავით მაჩაბლის** სახით და **შპს ,,ორგსერვისი“,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორი **ხვიჩა ნემსაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშვალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **ხელშეკრულების საგანი:** სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს 15 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიებებისათვის კოსტაობა 2018“ მონაწილეტათვის სასაჩუქრე ჩანთების შესყიდვა ( cpv-18900000;30100000 ) 2,1 პუნქტის შესაბამისად

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

**2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 34(ოცდათოთხმეტი) ლარს დ.ღ.გ ჩათვლით.**

| № | საქონლის დასახელება | cpv | რ–ბა | საქონლის ზ( | ერთ.ფასი ( | სულ(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | პარკი სასაჩუქრე 26*32*12 | 18900000 | 6 | ცალი | 2,00 | 12,00 |
| 2. | პარკი სასაჩუქრე 12*16,5*6 | 18900000 | 1 | ცალი | 2,00 | 2,00 |
| 3. | ქარალდი ფერადი ქსეროქსის ა4 80გრ SINAR SPECTARA MIX | 30100000 | 1 | შეკვრა | 20,00 | 20,00 |
| საერთო ჯამი | | | | | | 34,00 |

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მისაწოდებელი საქონლისა ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი**

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია ქ, თბილისი ქავთარაძის ჩიხი №1

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი**

4.1საქონლის მიწოდება განხორციელდება 12 ოქტომბრამდე

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 30 ნოემბრამდე

**5.საქონლის მიღება–ჩაბარების წესი**

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, –სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს უფროს სპეციალისტს სოსო ელბაქიძეს

**6.ანგარიშსწორება**

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში

6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე

6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მირება–ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღი განმავლობაში

**7.მხარეთა უფლება–მოვალეობანი**

7.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხ ინსპექტირება;

7.2 შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულები გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულები გათვალისწინებული ვადებისა და პირობრბის დაცვით

7.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნუ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

7.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდ სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.6 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

**8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოს პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დრ ინსპექტირებას განახორციელებს ''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი –სამხრეთ ოსეთის ადმინსტრაციის კულტურისა და სპორ სამსახურის უფროსი ომარ ხუბაევი

8.2 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფრხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრ ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. **პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევასი, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან

**10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულ პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესა

ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ტავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცხვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით). ˜

**11.ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები“შემსყიდველისათვის“,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველსო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 მხარე ვალდებულია 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.

11,6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

**12. ფორს-მაჟორი**

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გატავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

**13,დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიურწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანოონმდებლობის შესაბამისად.

**14.სხვა პირობები**

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | შ.პ.ს. ,, ორგსერვისი“ |
| მის: ქ.თბილისი, ქავთარაძის №21 | მის: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის №51/2ა |
| ტელ: 2(32) 99 89 90 | ტელ: 0322041100 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| სახელმწიფო ხაზინა | |
| ს/კ 204532434 | ს/კ 212693851 |
| | **ა/ა № GE27CR0000000435453602** |
| | ბანკის კოდი: CRTUGE22 |
| სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | შ.პ.ს. ,,ორგერვისი“-ს დირექტორი |
| **დავით მაჩაბელი** | **ხ. ნემსაძე** |
| ___________________ | ___________________ |

**სახელმწიფო შესყიდვის №129 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არ არსებობის ცნობა**

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე–8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დავით მაჩაბელი ___________________

ინგა ნინიძე ___________________

სოსო ელბაქიძე ---------------------------------